სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

მებრძოლი

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი

Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 34 (294) | კვირა, 18 მარტი | 1945 წ.

შევაიარაღოთ ახალგაზრდა პარტმუშაკები პარტიული მუშაობის ჩვევებით

საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში მნიშვნელოვნად განახლდა, მრავალი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი შემადგენლობა. ჩვენს ფრონტზე ასეულებისა და მათი თანაბარი პარტიული ორგანიზაციების პარტორგთა შემადგენლობა ისე, როგორც პარტიული ბიუროს წევრთა შემადგენლობა, განახლდა სულ მცირე 20 პროცენტით, ზოგიერთ ნაწილსა და შენაერთში კი 40-50 პროცენტამდე.

ხელმძღვანელ სამუშაოებზე მოსული ახალგაზრდა პარტიული აქტივი უდაოდ საუკეთესო კომუნისტებისაგან — მოწინავე მეომრებისაგან შესდგება. მაგრამ მათს უმეტესობას ჯერ კიდევ არ გააჩნია საკმაო ცოდნა, მით უმეტეს ხელმძღვანელი მუშაობის გამოცდილება. მაშასადამე, ამჟამად ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ბეჯითად ვასწავლოთ ახალგაზრდა პარტმუშაკებს, შევაიარაღოთ ისინი ცოდნითა და ხელმძღვანელი პარტიული მუშაობისათვის საჭირო ჩვევებით.

„რომ სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ პარტიული ხელმძღვანელობა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—პირველყოვლისა უნდა ავამაღლოთ პარტიულ მუშაკთა კვალიფიკაცია". ეს სტალინური მითითება უნდა გვახსოვდეს ყოველთვის და მით უმეტეს ახლა, როდესაც მრავალ პარტიულ ორგანიზაციაში ხელმძღვანელ სამუშაოებზე არის ახალგაზრდა პარტიული აქტივი.

ამ ამოცანის შესრულებაში დიდი როლი უნდა ითამაშონ შენაერთების პარტიული აქტივის სკოლებმა. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ პარტიული ხელმძღვანელების ნაწილი, რომელსაც საკმაო მომზადება აქვს დამოუკიდებლად მუშაობისათვის, ამ სკოლებში არაა ჩარიცხული. გარდა ამისა ამ სასწავლო გეგმებში საათების მეტად უმნიშვნელო რაოდენობა აქვს დათმობილი პარტიული მუშაობის პრაქტიკის საკითხებს. ამიტომ არაა სწორი, რომ პარტიული აქტივის სკოლების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ხელი ავიღოთ პარტორგებთან მათი პრაქტიკული მუშაობის საკითხების ირგვლივ სემინარული მეცადინეობის ჩატარებაზე. პირიქით, ასეთი სემინარები საჭიროა, ისინი დროდადრო უნდა ჩავატაროთ იმისათვის, რომ დავეხმაროთ ყველა რგოლის პარტიულ ხელმძღვანელებს უფრო უკეთ გაერკვნენ შინაპარტიული მუშაობის პრაქტიკულ საკითხებში.

ფრონტის პოლიტსამმართველოს წინადადებით მარტისა და აპრილის განმავლობაში უნდა ჩატარდეს შენაერთებში პირველადი ორგანიზაციების პარტორგთა, ხოლო ნაწილებში ასეულებისა და მათი თანაბარი ორგანიზაციების პარტორგთა სამდღიანი სემინარები. ნაწილების პოლიტორგანოებისა და პარტპოლიტმუშაკების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ეს სემინარები ჩატარებულ იქნან მაღალ იდეურ დონეზე, რომ ისინი თვითეული პარტორგისათვის წარმოადგენდნენ ნამდვილ სკოლას, რომელიც გაამდიდრებს პარტიულ ხელმძღვანელებს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებითა და ჩვევებით. სემინარულ მეცადინეობათა ხელმძღვანელებად გამოყოფილ უნდა იქნან ყველაზე უფრო კვალიფიციური პარტპოლიტმუშაკები და შტაბების ოფიცრები, რომელთაც ხელმძღვანელი მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სემინარული მეცადინეობანი არ გადაიქცნენ მოსაწყენ ლექციებად. სემინარის მეცადინეობებზე უნდა შეიქმნას საქმიანი ვითარება, რომელიც საშუალებას მისცემს პარტორგებს ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი მუშაობის გამოცდილება, გამოარკვიონ მათთვის გაუგებარი საკითხები და გაერკვნენ მათში ისე, რომ ისწავლონ თავიანთი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ხელმძღვანელობა.

ბოლშევიკური ხელმძღვანელების აღზრდა სწრაფად წარმავალი კამპანია როდია, იგი შინაპარტიული მუშაობის ყოველდღიური უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პარტიული აქტივის სკოლები, ისე როგორც სემინარების ჩატარება, უდავოდ, პარტიული აქტივის სწავლების მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთად - ერთი ფორმაა. ხელმძღვანელი მუშაობის ჩვევებით პარტიული მუშაკების შეიარაღების უძლიერესად მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს მათთვის უფროსი ამხანაგების მიერ ყოველდღიური დახმარების გაწევა. საწუხაროდ, ამ ჭეშმარიტებას ჯერ კიდევ ივიწყებს მრავალი ხელმძღვანელი პარტპოლიტმუშაკი. მაგალითად, საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ პოლიტგანყოფილებათა მრავალი მუშაკი უფრო გართულია სხვადასხვა გამორკვევებით და იშვიათად თუ ასწავლის პრაქტიკულად პირველადი და მით უმეტეს ასეულების ორგანიზაციათა პარტორგებს. ამავე დროს კი ბევრი რამ შეეძლოთ გაეკეთებინათ შენაერთებისა და ნაწილების ხელმძღვანელ პარტპოლიტმუშაკებს, თუ ისინი უფრო ხშირად იქნებოდნენ ქვეგანაყოფებში და იქ, უშუალოდ ბატალიონსა და ასეულში, გადასცემდნენ ახალგაზრდა პარტპოლიტმუშაკებს თავიანთ გამოცდილებას, პრაქტიკულად დაანახვებდნენ მათ, თუ როგორ ჩაეტარებინათ ესა თუ ის ღონისძიება, როგორ აღმოეფხვრათ არსებული ნაკლოვანებები.

ჩატარებულმა საანგარიშო - საარჩევნო კრებებმა და პარტიულმა კონფერენციებმა დასახეს პრაქტიკული ღონისძიებები მთელი შინაპარტიული მუშაობის შემდგომი გაცხოველებისათვის. მიღებულ გადაწყვეტილებათა სწრაფად და განუხრელად შესრულებისათვის ბრძოლა წარმოადგენს ჩვენი ფრონტის პარტიულ ორგანიზაციათა იდეური და ორგანიზაციული გაძლიერების, მათი, როგორც სარდლობის მებრძოლ თანაშემწეთა როლის ამაღლების უმნიშვნელოვანეს პირობას იმ საპასუხისმგებლო ამოცანათა შესრულებაში, რომლებიც უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის მიერ დასახულია წითელი არმიის წინაშე.

წითელი არმიის 27-ე წლისთავის შესახებ ამხანაგ სტალინის ბრძანების გამოცემა ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე ცალკე ბროშურად გამოსცა ამხანაგ სტალინის 1945 წლის 23 თებერვლის ბრძანება წითელი არმიის 27-ე წლისთავის შესახებ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

17 მარტის ოპერატიული ცნობა

17 მარტს კენიგსბერგის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლებს გერმანელთა აღმოსავლეთ პრუსიის ჯგუფის მოსასპობად, დაიკავეს დასახლებული პუნქტები ბრანდენბურგი, კოპლიტენი, პერშკენი, ლეზნიტენი, პრაუსენი, პანზიტი, ვორნიკამი, ფრიდერ-ფრიიდენტალი, დოიჩ ტირაუ, ზილზაპენი. 16 მარტს ამ რაიონში ტყვედ წამოყვანილია 700-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

შტეტინის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლებს გერმანელთა პლაცდარმის ლიკვიდაციისათვის ოდერის აღმოსავლეთ ნაპირზე, დაიკავეს დასახლებული პუნქტები ალტდამი, ბერგლანდი, ვილჰელმსფელდე, ფრაუენდორფი, რეტცოვსფელდე, ფერდინანდშტაინი. 15 და 16 მარტის ბრძოლებში ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 2.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვეთა შორის არის გერმანელთა 402-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი შლაინიცი.

ბრესლაუს რაიონში ბრძოლები გრძელდებოდა ქალაქში მოწინააღმდეგის გარშემორტყმული ჯარების ჯგუფის მოსასპობად.

ფრონტის სხვა უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა და მზვერავები მოქმედებდნენ.

16 მარტს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 118 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 85 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძ მორავსკა-ოსტრავას ჩეხოსლოვაკიაში

16 მარტს ღამით ჩვენმა მძიმე ბომბდამშენებმა დაარტყეს რკინიგზის კვანძ მორავსკა-ოსტრავას ჩეხოსლოვაკიაში. დაბომბვის შედეგად რკინიგზის კვანძის ტერიტორიაზე ხანძრები გაჩნდა, რასაც თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი.

* * *

კენიგსბერგის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. გაზაფხულის უგზოობა და ძლიერად არხებდასერილი მიდამოები აძნელებენ საბჭოთა ნაწილების მოქმედებას. საბჭოთა ქვეითებმა დასძლიეს მტრის გაფართოებული წინააღმდეგობა, წინ წაიწიეს კენიგსბერგ-ბრაუნსბერგის რკინიგზის გასწვრივ და დაიკავეს რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტი. სხვა ჩვენმა ნაწილებმა გადალახეს ხანგრძლივი სიმაგრეების ზოლი და დაიკავეს გზების კვანძი დოიჩ ტირაუ. უკან დახევისას გერმანელებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს ათასობით მოკლული და დაჭრილი თავიანთი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს და მოსპეს მოწინააღმდეგის 11 ტანკი, 106 საველე ქვემეხი, 9 ჯავშანტრანსპორტიორი და სხვა საჭურველი.

ტყვეები ამბობენ, რომ გერმანელთა სარდლობამ გამოყო სპეციალური რაზმები, რომელთაც დავალებული აქვთ ადგილზევე დახვრიტონ ის ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც თვითნებურად სტოვებენ პოზიციებს, ან ტყვედ ჩაბარებას ცდილობენ. მიუხედავად ამისა, არის მთელი რიგი შემთხვევები, როცა გერმანელთა ჯგუფები სწყვეტენ წინააღმდეგობას, ყრიან იარაღს და ტყვედ ნებდებიან.

* * *

შტეტინის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის პლაცდარმის ლიკვიდაციისათვის ოდერის აღმოსავლეთ ნაპირზე. გერმანელებმა პლაცდარმზე თავი მოუყარეს დიდძალ არტილერიას, მათ შორის მძიმე საზენიტო ქვემეხებს. ძლიერი ცეცხლითა და კონტრიერიშებით ჰიტლერელები ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ჩრდილოეთიდან უტევენ, დაიკავეს დამმერ-ზეეს ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე რამდენიმე დასახლებული პუნქტი. გერმანელები განდევნილი არიან სოფელ ვილჰელმსფელდიდან (7 კილომეტრზე ქალაქ ალტდამის ჩრდილო-აღმოსავლეთით). სხვა ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც სამხრეთიდან უტევენ ოდერის აღმოსავლეთ ნაპირის გასწვრივ, გასტეხეს მტრის გაფართოებული წინააღმდეგობა და დაიკავეს შტეტინიდან 6 კილომეტრზე მდებარე დასახლებული პუნქტი ფრაუენდორფი. ერთი დღის ბრძოლებში მოსპობილია 3 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ბრესლაუში ჩვენი ჯარები ბრძოლებს აწარმოებდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული გარნიზონის მოსასპობად. საბჭოთა მოიერიშე ჯგუფები [illegible] რა ნაღმით ღობეებს და ბარიკადებს, ერეკებიან გერმანელებს ხანგრძლივი საცეცხლე წერტილებიდან და თავდაცვისათვის გამოყენებული სახლებიდან. ჩვენმა ქვეითნაწილებმა დაიკავეს გარეუბანი ლობრიუკი (აღმოსავლეთისა) და მდინარე ოლეს მიადგნენ. მტერი ეყრდნობოდა წინასწარ მომზადებულ თავდაცვის ზღუდეს და გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა. არტილერიის ცეცხლის საფარქვეშ საბჭოთა ქვეითმა ჯარმა გზიდანვე გადალახა მდინარე ოლე და ორი მხრიდან მიიტანა იერიში დიდ ავტოსარემონტო ქარხანაზე. შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, რაც არაერთხელ ხელჩართულ შეტაკებად იქცა, ჰიტლერელთაგან გაწმენდილია ქარხნის ტერიტორიის სამხრეთის და ცენტრალური ნაწილი. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა დაიკავეს ტრამვაის პარკი და რამდენიმე უბანი. დღის განმავლობაში მოწინააღმდეგემ 1.200 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მარტო მოკლულთა სახით.

გერმანელები ცდილობენ სატრანსპორტო თვითმფრინავებით მიაწოდონ ტვირთი ბრესლაუში გარშემორტყმულ გარნიზონს. ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 10 სატრანსპორტო თვითმფრინავი.

გუშინ ჩვენმა მძიმე ბომბდამშენებმა დაარტყეს მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებს ქალაქ ბრესლაუში, დაბომბვის შედეგად ხანძრები გაჩნდა, რომელთაც ერთად მეთვალყურეებმა 12 ძლიერი აფეთქება აღნიშნეს.

* * *

ბელორუსიის 1-ლ ფრონტზე ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 1-ლი მესანგრე პოლკის მეთაურმა, პოლკოვნიკმა შენლაინმა განაცხადა: „ჩემი პოლკი უშუალოდ ემორჩილებოდა ბერლინის სამხედრო ოლქის სარდალს. უკანასკნელ ხანს პოლკის ქვეგანაყოფები სანგრებს თხრიდნენ და შეალედ თავდაცვით ზღუდეებს იგებდნენ. ჯარისკაცები დღედაღამ მუშაობდნენ, მაგრამ მთელმა შრომამ ამაოდ ჩაიარა. თხრილები და სანგრები ბევრი გავთხარეთ, მაგრამ ისინი ჩვენ აღარ დაგვჭირდა. საბჭოთა ტანკები ზურგში შემოგვეჭრნენ. ჩვენ გარშემორტყმული აღმოვჩნდით გერმანელთა იმ ნაწილებთან ერთად, რომელთათვისაც სიმაგრეებს ვაგებდით. დაიწყო საშინელი პანიკა. მესანგრე ქვეგანაყოფები ქვეითი ჯარისა და ალაყებში აირივნენ. ყველანი გარბოდნენ, სტოვებდნენ საჭურველს, ქონებას და პირად ნივთებს. ყველა, მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე ფიქრობდა. მე ველარ მივაგენი არა მარტო პოლკს, არამედ შტაბსაც. ოფიცრების ჯგუფთან ერთად რამდენიმე დღეს ტყეში ვიმალებოდი. შემდეგ დასავლეთისაკენ გავემართეთ, ვცდილობდით ფრონტის ხაზი გადაგველახა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. შექმნილი მდგომარეობიდან მხოლოდ ერთი გამოსავალი იყო—იარაღის დაყრა. მაიორ დიკმანთან და ლეიტენანტ ვაილერთან ერთად, რომლებიც მე მახლდნენ, ტყვედ დავნებდით".

პოლკოვნიკმა შენლაინმა დასძინა: „57 წლის კაცი ვარ, მე პროფესიონალი ოფიცერი ვარ და ომის დაწყებამდის დარწმუნებული ვიყავი, რომ გერმანია გაიმარჯვებდა. სტალინგრადთან გერმანიის არმიის კატასტროფამ რწმენა შემირყია, ხოლო მას შემდეგ მომხდარმა ამბებმა სულ გამიქარწყლეს ეს რწმენა. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ გერმანიამ საბოლოოდ წააგო ომი, მაგრამ [illegible] არ მოველოდი ისეთ დამარცხებას, როგორიც გერმანიის არმიამ განიცადა ამ უკანასკნელ თვეებში აღმოსავლეთის ფრონტზე. გერმანიას ბევრი ომი უწარმოებია და არა ერთხელ დამარცხებულა, მაგრამ ასეთი უმაგალითო დამარცხება, გერმანული სტრატეგიის ასეთი [illegible] გერმანიის ისტორიას დღემდე არ ახსოვს".

პრეზიდენტ ედ. ბენეშის განცხადება

მოსკოვს ჩამოსვლის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დოქტორმა ე. ბენეშმა შემდეგი განცხადება გააკეთა მიკროფონთან:

„ჩვენი გზა სამშობლოსაკენ, რომელიც თავისუფლდება წითელი არმიისა და ყველა ჩვენი მოკავშირის გმირული ღონისძიებით, მოსკოვზე გადის. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენი საერთო მეგობრობისა და ჩვენი სამოკავშირეო ერთიერთობის მნიშვნელობას.

დარწმუნებული ვარ, რომ მტერი მალე დამარცხებულ იქნება და ევროპა კვლავ განთავისუფლდება".

აგიტატორისა და პროპაგანდისტის დასახმარებლად

საბჭოთა პატრიოტიზმის შესახებ

მაიორი [illegible]



ბელორუსიის პირველი ფრონტი. გერმანიაში. გვარდიის ნაღმსატყორცნები უშენენ გერმანელთა გარშემორტყმულ დაჯგუფებას.

ფოტო ბ. ცეკოვსკისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

მოსკოვს ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ედ. ბენეში და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ი. შრამეკი

17 მარტს მოსკოვს მეღლიაურთ ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი ედუარდ ბენეში, რომელიც ლონდონიდან ჩეხოსლოვაკიაში მიემგზავრება. პრეზიდენტთან ერთად ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი იან შრამეკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი იან მასარიკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი მოსკოვში ბ-ნი ზდ. ფირლინგერი, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. პრეზიდენტს შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-4 ევროპული განყოფილების გამგის თანაშემწე ა. ნ. აბრამოვი.

ცენტრალურ აეროდრომზე ბ-ნ ედ. ბენეშს და მის თანმხლებ პირთ შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. ფ. გორკინი, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ი. გოლიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-4 ევროპული განყოფილების გამგე ვ. ა. ზორინი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. იასნოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი კ. რ. სინილოვი, თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი ნ. ვ. სლავინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ა. ი. ლავრენტიევი, ჩეხოსლოვაკიის საელჩოს თანამშრომლები დოქტორ ზ. ფირლინგერის მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის 1-ლი კორპუსის სარდალი გენერალი ლ. სვობოდა, პრაღის პარლამენტის წევრი კ. გოტვალდი, პროფესორი ზდ. ნეიედლი, ჩეხოსლოვაკიის სამხედრო მისიის დიპლომატიური წარმომადგენლობის და სხვ.

აეროდრომზე იყვნენ აგრეთვე დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. კ. კერი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. ჰარიმანი, იუგოსლავიის ელჩი ბ-ნი ს. სიმიჩი, კანადის ელჩი ბ-ნი დ. უილგრესი.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. აეროდრომი მორთული იყო ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

წყალქვეშა ნავი „საბჭოთა სვანეთი"

გაზეთ „კრასნი ფლოტის" კორესპონდენტი ჩრდილოეთის ფლოტიდან დეპეშით იტყობინება, რომ წყალქვეშა ნავ „საბჭოთა სვანეთის" ეკიპაჟი მუშაობს ხომალდის მექანიზმების ათვისებაზე და ენერგიულად ემზადება საბრძოლო დავალებათა შესასრულებლად.

როგორც ცნობილია, ეს წყალქვეშა ნავი აგებულ იქნა ზემო სვანეთის რაიონის შრომელთა შრომითი დანაზოგით და მათი შუამდგომლობისამებრ ეწოდება მათი სახელოვანი თანამემამულის, საბჭოთა კავშირის გმირის მესამე რანგის კაპიტან იოსელიანის. წყალქვეშა ნავი „საბჭოთა სვანეთი" მეურვობაში ჩაიბარა. იოსელიანი დანიშნულია მის მეთაურად.

წყალქვეშა ნავის ეკიპაჟი აცხადებს: „ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ უნდა ვიცუროთ და ვიომოთ წყალქვეშა ნავ „საბჭოთა სვანეთით". ისეთი გამოცდილი და მამაცი მეზღვაურის მეთაურობით, როგორიც არის იოსელიანი, ჩვენ აუცილებლად მოვძებნით მოწინააღმდეგეს და გავანადგურებთ მას".

მშობლიურ მიწა-წყალზე

მოლოტოვის ოლქის ტერიტორიიდან უკრაინაში კვლავ ბრუნდებიან ემიგრანტები და მოხუცი უკრაინელები, რომლებიც იქიდან გადმოასახლეს. კოლმეურნეები ზრუნვით ხვდებიან თავიანთ ძმებს, ეხმარებიან მათ ქონების გამოზიდვაში, ბინების შეკეთებაში, პირუტყვის საკვების მიზიდვაში.

სტალინოს ოლქში ყველა ჩამოსულთ აბინავებენ წინასწარ მომზადებულ სახლებში, უზრუნველყოფენ საკვებით. კოლმეურნეებმა პირადი მარაგიდან სასურსათო ფონდი შექმნეს მათთვის.

კიროვოგრადის ოლქის კოლმეურნეებმა წესრიგზე მოიყვანეს გადმოსახლებულთათვის გამოყოფილი სახლები, დარიგებული სიმინდისათვის, მიზიდეს 19,500 ცენტნერზე მეტი საკვები. (ტასი).

საბჭოთა კავშირის მიერ ფინეთისაგან იჯარით აღებული პორკალა-უდის რაიონის საზღვრის სადემარკაციო სამუშაოთა დამთავრების შესახებ

ჰელსინკი, 15 მარტი. (ტასი). დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების შესაბამისად შერეულმა საბჭოთა კავშირ-ფინეთის კომისიამ დაამთავრა საბჭოთა კავშირის მიერ ფინეთისაგან იჯარით აღებული პორკალა-უდის რაიონის სახმელეთო საზღვრის, ხაზის სადემარკაციო სამუშაოები. შერეულმა კომისიამ ადგილზე საზღვრის ნიშნებით აღნიშნა იჯარით აღებული პორკალა-უდის რაიონის სახმელეთო და საზღვაო საზღვრები, ჩადგა 111 სასაზღვრო ნიშანი (სახმელეთო და საზღვაო) და შეადგინა იჯარით აღებული პორკალა-უდის რაიონის საზღვრის, ხაზის გავლების ოქმი-აღწერილობა მთელი დანართებითურთ, აგრეთვე რუკებითურთ.

ფინეთში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის პოლიტიკურმა მრჩეველმა, ელჩმა პ. დ. ორლოვმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა კ. ენკელმა ამა წლის 14 მარტს ერთმანეთს გაუცვალეს წერილები, რომლებშიც დადასტურებული იყო, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ და ფინეთის მთავრობამ დაამტკიცეს შერეული კომისიის მიერ ქ. ჰელსინკში 1944 წლის 16 დეკემბერს ხელმოწერილი ოქმი-აღწერილობა მთელი დანართებითურთ და რუკებითურთ.

საზღვარგარეთ

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 17 მარტი. (ტასი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ ამჟამად მოკავშირეთა ხიდქვეშა სიმაგრე რაინზე აღწევს დაახლოებით 21 კილომეტრს ფრონტით და 11,2 კილომეტრს სიღრმით.

მოკავშირეთა ხიდქვეშა სიმაგრის ცენტრში გერმანელები გაძლიერებულ წინააღმდეგობას უწევენ. ჩრდილოეთ ნაწილში მოკავშირეთა ჯარები ბრძოლებს აწარმოებენ კონიგსვინტერში, ხოლო სამხრეთ ნაწილში მდინარე ვიდ-ის დასავლეთ ნაპირს მიაღწიეს.

კობლენცის სამხრეთ-დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა გადალახეს მდინარე მოზელი; მოკავშირეთა სხვა ნაწილები მიადგნენ რაინის დასავლეთით 3,2 კილომეტრზე მდებარე ბინგენს.

მოკავშირეთა ძალებმა განუწყვეტლივ მიიწევენ წინ ჩრდილოეთის მიმართულებით საარბრიუკენის რაიონსა და რაინს შუა.

მიღწეულია აგრეთვე ახალი წარმატებანი ჰაგენაუს ტყის რაიონში და ჩრდილოეთ ელზასის კუთხეში.

ლონდონი, 17 მარტი. (ტასი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში მე-5 არმიის ნაწილებმა დაარტყეს აპენინებში გერმანელთა გამაგრებული პუნქტს—ვერგატოს ჩრდილო-აღმოსავლეთით და ზედ მიადგნენ ქალაქ სილვარს (15 მილზე ბოლონიის სამხრეთ-დასავლეთით).

განთავისუფლებული რაიონების დასახმარებლად

თბილისის [illegible] სადგურმა კავშირი დაამყარა როსტოვის რაიონის საბაზო სკოლა-კომბინატთან და მას უფასოდ გაუგზავნა 2 ათასი მანეთის სასწავლო ნივთები და თესლეულობა. სამამულო ომის დაწყებამდე სადგურს კავშირი ჰქონდა კიევისა და გროზნოს სადგურებთან. ამჟამად კვლავ განაახლა ურთიერთობა და მტრისაგან დარბეულ სადგურებს კულტურულ მეურნეობათა თესლეულით უწევს დახმარებას.

კალენდარი

კვირა 18 მარტი

1944—წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს ქ. ჟმერინკა.

1871—პარიზის მუშებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება და დაამყარეს კომუნა.

1844—დაიბადა გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი (გარდ. 1908 წ.).

ნარევი

„მეფე ზარბაზანი"

მოსკოვში (კრემლში) დგას „მეფე-ზარბაზანი"—უძველესი და უდიდესი საარტილერიო იარაღი მსოფლიოში. იგი 39,300 კილოგრამს იწონის, ხოლო მისი ყუმბარა — 1,965 კილოგრამს. ზარბაზნის ლულის ყალიბი 890 მილიმეტრს უდრის. „მეფე-ზარბაზანი" ჩამოსხმულია ოსტატ ანდრეი ჩოხოვის მიერ 1586 წელს მეფე თეოდორ ივანეს-ძის ბრძანებით.

„ზღვის სუვოროვი"

დიდი რუსი მხედართმთავარი სუვოროვი მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული სარდალი იყო. სუვოროვი ძლიერ აფასებდა მის თანამედროვეს და მეგობარს დიდ რუს მეზღვაურს, თეოდორ ანდრიას-ძე უშაკოვს.

უშაკოვი მონაწილეობდა 53 ბრძოლაში ზღვაზე. ამ ბრძოლებიდან 43-ს თვითონ ხელმძღვანელობდა. მან სახელი გაითქვა იმით, რომ ყველა ბრძოლა ბრწყინვალედ მოიგო. ამიტომ მას „ზღვის სუვოროვი" უწოდეს.

როცა უშაკოვს ხმელთაშუა ზღვაში მიუდგომელი ციხე-სიმაგრის კორფუს აღებისას ბრძოლა მოუხდა საფრანგეთის ფლოტთან, მამაცმა რუსმა ადმირალმა განსაკუთრებით ისახელა თავი. მოგვითხრობენ, რომ ამ ბრძოლით აღტაცებულმა სუვოროვმა წამოიძახა: „ოჰ, როგორ სამწუხაროა, რომ კორფუს აღებისას ბოცმანიც კი არ ვიყავი".

სამეცნიერო-საგანმანათლებლო თემაზე

დედამიწის წარსული და აწმყო

(წერილი პირველი)

ადამიანებს დიდხანს არ შეეძლოთ სწორად ეპასუხათ კითხვებზე, თუ საიდან გაჩნდა დედამიწა, დიდი ხანია თუ არა იგი არსებობს, რა ფორმა აქვს დედამიწას, რისგან შესდგება იგი, რაა მოქცეული მის შიგნით და სხვა. სწორი პასუხის გასაცემად საჭირო იყო დიდი მეცნიერული ცოდნა, რომელსაც კაცობრიობა გაჭირვებით და თანდათან იძენდა. ამიტომაც იყო, რომ ადამიანები ძველად, როცა ყოველივე ამას უფიქრდებოდნენ, ყოველ ნაბიჯზე უშვებდნენ შეცდომებს. და ზოგჯერ ცდილობდნენ აეხსნათ გაუგებარი კიდევ უფრო ნაკლებ გასაგებით, — არსებული ზებუნებრივი ძალების ზემოქმედებით. შემცდარ წარმოდგენებს დედამიწის, მისი აგებულობისა და ისტორიის შესახებ მრავალი ათასი წლის განმავლობაში ჰქონდა გასავალი.

დედამიწის ზედაპირის ფორმა დიდხანს ეგონათ უცვლელი. ეს გასაგებიცაა. როცა მეცნიერება ჯერ კიდევ არ არსებობდა და ან მხოლოდ ისახებოდა, როცა არ იყო დამწერლობა, ადამიანებს შეეძლოთ მხოლოდ ძალიან ახლობელი წარსული დაემახსოვრებინათ. ადამიანმა იცოდა, რომ მისი მამისა და პაპის დროს არსებობდა იგივე მთები, იგივე მდინარეები და ზღვები. ეგონათ, მუდამ ასე იყო და იქნება.

ბევრი მცდარი წარმოდგენა იყო იმის შესახებაც, თუ რა იმყოფება დედამიწის შიგნით. მაგალითად, ძველ ბერძნებს ეგონათ, რომ დედამიწის ქვეშ იყო ბნელი ჯანდაბა, სადაც მიცვალებულთა სულები ბინადრობენ. ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი, რომელიც დაახლოებით ორნახევარი ათასი წლის წინათ ცხოვრობდა, ფიქრობდა, რომ დედამიწის შიგნით ყველგან არის არხები, რომლებითაც ცეცხლის, ჰაერის და წყლის ნაკადები მიედინებათ.

შედარებით ახლო წარსულშიც მეცნიერთა შორის ამ საკითხებზე თანხმობა არ იყო. მაგალითად, მეცნიერ ვუდვორდის აზრით, რომელიც დაახლოებით 200 წლის წინათ ცხოვრობდა, დედამიწის სფერო წყლითაა გავსებული. ახლა ამაზე არ დაობენ მეცნიერნი. შეთანხმდნენ, რომ დედამიწის შიგნით არის სხვადასხვა მინერალური შენაერთი ცეცხლოვან-თხევად და მყარ მდგომარეობაში.

ბევრი შეცდომა იყო დედამიწის ასაკის შესახებაც. დროთა განმავლობაში დედამიწის წლოვანებას სულ უფრო და უფრო უკეთ იკვლევდნენ. ყველა მეცნიერება პრაქტიკამ წარმოშვა. დედამიწის შესახებ მეცნიერებაც — გეოლოგია სამთო საქმის განვითარების მოთხოვნით აღმოცენდა. ლითონისა და სხვა მინერალური ნედლეულის საჭიროება აიძულებდა ადამიანებს ჩაშვებულიყვნენ დედამიწის სფეროს წიაღში და საფუძვლიანად შეესწავლათ ეს წიაღი. ის, რაც ახლა ჩვენ ვიცით დედამიწის აგებულობისა და წარსულის შესახებ, წარმოადგენს მრავალი მეცნიერის — ასტრონომის, გეოლოგის, მინერალოგის, გეოგრაფის და სხვათა მეტად ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი, გულმოდგინე მუშაობის ნაყოფს.

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუხინი

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. დარასელი

ზ—115417

რედაქციის მისამართი: ПОЛЕВАЯ ПОЧТА 33175-С